ხელშეკრულება №134/16

ქ. თბილისი **13 ივლისი, 2016წ**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **სსიპ "დაცული ტერიტორიების სააგენტო"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ვახტანგ ტუკვაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „სი-ტი პარკ"** (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სააგენტოს ბალანსზე რიცხული **8** ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის (ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო სახ. № **GA010PA**, ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო სახ. № **GA099PA,** Volkswagen Touareg სახ. № **GA077PA**, ნისან სანი სახ. № **GA015PA**, ნისან სანი სახ. № **GA017PA**, სუზუკი გრანდ ვიტარა სახ. № **GA013PA**, მიცუბიში პაჯერო სახ. № **GA012PA**, ტოიოტა ლენდკრუიზერი სახ. № **GA014PA**) **6 (ექვსი) თვიანი** პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება. (CPV63712400 – ავტოსადგომების მომსახურებები)

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

- პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 8 ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის 6 თვის პარკირების საფასური შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს.
- ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს **200** (ორასი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება:

- ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო, სახ. № **GA010PA**; Volkswagen Touareg, სახ. № **GA077PA**; ნისან სანი, სახ. № **GA015PA**; ნისან სანი, სახ. № **GA017PA**; სუზუკი გრანდ ვიტარა, სახ. № **GA013PA**; ტოიოტა ლენდკრუიზერი, სახ. №

GA014PA; მიცუბიში პაჯერო, სახ. № **GA012PA** - 2016 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 14 იანვრის ჩათვლით;

- ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო, სახ. № **GA099PA –** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 6 (ექვსი) თვის ვადით.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტისა და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით, „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასის შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.

4.3 დაფინანსების წყარო: სააგენტოს საკუთარი შემოსავლები.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სააგენტოს ეკონომიკური სამსახური.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო"	შპს „სი-ტი პარკ"
საიდენტიფიკაციო კოდი 204911337	საიდენტიფიკაციო კოდი 204543770
ქ. თბილისი, გულუას ქ. 6	ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 275 23 52	ტელ: 224 44 41
	ს.ს. „ბანკი რესპუბლიკა"
სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი: TRESGE22, ა/ა № 200122900	ბანკის კოდი: REPLGE22 ანგარიშის №GE90 BR00000 106 086 189 45
----------	----------
თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ტუკვაძე**	გენერალური მენეჯერი **ბ. ლაჰავი**